სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

06 მაისი 2026

N 302/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. ბაღდათში, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საკანალიზაციო სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ (ს/კ: 412670097) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) 2025 წლის 27 ოქტომბერს წარმოდგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის (ქ. ბაღდათში, საკანალიზაციო სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია) გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ - გზშ) ანგარიში და კანონით გათვალისწინებული დოკუმენტაცია. გზშ-ის ანგარიშის განსახილველად სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა (ბრძანება N688/ს; 04/11/2025) და შესაბამისი უწყებების ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა.

ინფორმაციის გავრცელების მიზნით, წარმოდგენილი დოკუმენტაცია სააგენტოს მიერ განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და დაინტერესებული საზოგადოებისთვის კოდექსის შესაბამისად განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა.

გზშ-ის ანგარიში მომზადებულია შპს „პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფის“ მიერ.

2023 წლის 13 ოქტომბერს, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ სააგენტოში წარმოდგენილი იყო ქ. ბაღდათში, საკანალიზაციო სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა-ექსპლუატაციის და ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების სკოპინგის ანგარიში, რაზეც კოდექსის შესაბამისად განხორციელებული სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (სკოპინგის დასკვნა N4; სააგენტოს ბრძანება N41/ს; 26/01/2024).

გზშ-ის ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე (წერილი N21/816), შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ 2026 წლის 27 მარტს სააგენტოში წარმოდგენილი იქნა პროექტთან დაკავშირებით დამატებითი/დაზუსტებული ინფორმაცია (წერილი N4487). კერძოდ, დაზუსტდა ინფორმაცია წარმოქმნილი ლამის მართვის, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ნარჩენების, ასევე, საპროექტო ტერიტორიაზე მოსაწყობი სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსების უბნის შესახებ. წარმოდგენილი იქნა ინფორმაცია გამწმენდი ნაგებობის საპროექტო კრიტერიუმების, აგრეთვე,

ჰიდროლოგიური მახასიათებლების გაანგარიშებების შესახებ და სხვა. ასევე, წარმოდგენილი იქნა განახლებული ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი.

ზემოაღნიშნული საკითხები განხილული იქნა საექსპერტო კომისიის (ბრძანება N215/ს; 02/04/2026) მიერ. დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია კოდექსის შესაბამისად ასევე განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და დაინტერესებული საზოგადოებისთვის განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, დღეისთვის ქ. ბაღდათში არ არსებობს წყალარინების სისტემა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა. მოსახლეობის უმრავლესობა სარგებლობს მიწისქვეშა სეპტიკური ჭებით და ჩამდინარე წყლები გაწმენდის გარეშე ჩაედინება ზედაპირული წყლის ობიექტებში (მდ. ხანისწყალი, მდ. საკრაულა) და გრუნტში. არსებული სიტუაციის გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილია ახალი საკანალიზაციო ქსელისა და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია დაგეგმილ პროექტთან მიმართებით უმოქმედობის, ადგილმდებარეობისა და ტექნოლოგიური ალტერნატივების შესახებ. დოკუმენტაციაში განხილულია გამწმენდი ნაგებობის განთავსების სამი ალტერნატიული ტერიტორია: პირველი – სოფ. დიდველას მიმდებარე ტერიტორია, მდ. ხანისწყლის სანაპირო (GPS კოორდინატები X –315410; Y –4667788), მეორე - ქ. ბაღდათი, მდ. ხანისწყლის მარცხენა სანაპირო (GPS კოორდინატები X–320424; Y–4661333) და მესამე - სოფ. დიმი, მდ. ხანისწყლის მარჯვენა სანაპირო (GPS კოორდინატები X–317583; Y–4666280). აღნიშნული ალტერნატიული ვარიანტების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, გარემოსდაცვითი და ტექნიკური საკითხების გათვალისწინებით, უპირატესობა მიენიჭა გამწმენდი ნაგებობის განთავსების პირველ ალტერნატიულ ვარიანტს.

ტექნოლოგიური ალტერნატიული ვარიანტებიდან ერთმანეთთან შედარებულია ინდივიდუალური გამწმენდი სისტემები, ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა და ფიტო გაწმენდის მეთოდი. გარემოსდაცვითი და ტექნიკური საკითხების გათვალისწინებით, უპირატესობა მიენიჭა ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობის ვარიანტს, რომელიც გულისხმობს ჩამდინარე წყლების კოლექტიურ გაწმენდას ბიოლოგიური გამწმენდ ნაგებობაში. უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა უარყოფილი იქნა გარემოსდაცვითი და სოციალურ- ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაცის თანახმად, გამწმენდი ნაგებობის მოწყობისთვის შერჩეულია შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 30.03.37.067, ფართობით 21,757 მ^2). საპროექტო ტერიტორიის მიახლოებითი GPS კოორდინატებია: X-315410, Y-4667788. უახლოესი საცხოვრებელი სახლი (ს/კ: 30.06.31.026) საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია 130 მ-ით. გამწმენდი ნაგებობისთვის განკუთვნილ ტერიტორიას აღმოსავლეთის მხრიდან ემიჯნება მდ. ხანისწყალი. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ გადის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა - ქუთაისი-ბაღდათი- აბასთუმანი-ბენარა (შ-14).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო საკანალიზაციო ქსელი უზრუნველყოფს ჩამდინარე წყლების შეკრებას და საპროექტო გამწმენდ ნაგებობამდე მიწოდებას. საკანალიზაციო სისტემა შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: გრავიტაციული საკანალიზაციო ქსელი (41 კმ), საკანალიზაციო ჭები (1500 ერთეული), სახლის დაერთებები (900 ერთეული), წნევის მილები (4კმ საერთო სიგრძით), სატუმბი სადგურები (9 ერთეული), მთავარი კოლექტორი (8.5 კმ). საკანალიზაციო ქსელი მოეწყობა შესაბამისი დახრილობის უზრუნველყოფით და მილებში ნაკადების გადაადგილება ძირითადად მოხდება თვითდენით, ზოგიერთ მონაკვეთზე საჭირო იქნება სატუმბი სადგურების მოწყობა.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის შემადგენლობაში შედის: მექანიკური მსხვილი ცხაური და ხელით მართვადი სათადარიგო ცხაური, შემშვები სატუმბი სადგური, წმინდა ცხაურის სისტემა (მეორადი სკრინინგი), ქვიშისა და ცხიმის დამჭერი, შემავალი დინების მზომი სისტემა, ბიოლოგიური გამწმენდი დანადგარები, საბოლოო სალექარი ავზი, დიფუზორების უჯრედები და საბერველების სადგური, დაბრუნებული/ჭარბი აქტივირებული ლამის და ნარჩენების სატუმბო სადგური, UV (ულტრაიისფერი) სადეზინფექციო სისტემა, ჩაშვებული წყლის გაზომვის სისტემა, ნიმუშის ავტომატურად აღების კოლოფი, ტექნიკური წყლის ბუსტერ სატუმბო სადგური, ლამის დამუშავების უბანი და სხვა დამხმარე ნაგებობები (ადმინისტრაციული შენობა, ხანძარსაწინააღმდეგო ავზი, ტექნიკური წყლის სატუმბი, გაწმენდილი წყლის გაზომვის სისტემა და სხვა). გზშ-ის ანგარიშს დანართის სახით თან ახლავს გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პროცესში ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებული დამაბინძურებელი ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი, რომლის მიხედვითაც, გამწმენდი ნაგებობიდან გამომავალი წყლების ჩაშვება გათვალისწინებულია მდ. ხანისწყალში, წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატებია: X – 315493; Y – 4667741.

გზშ-ის ანგარიშში დეტალურად არის წარმოდგენილი გამწმენდ ნაგებობაზე შემოსული საკანალიზაციო წყლების გაწმენდის ეტაპები. კერძოდ, საკანალიზაციო წყლები მდ. ხანისწყალში ჩაშვებამდე გადის რამდენიმე ეტაპს, მათ შორის, თავდაპირველად გაივლის უხეში (პირველადი) სკრინინგის სისტემას. პირველადი სკრინინგის შემდგომ საკანალიზაციო წყლები გადადის შემშვებ სატუმბ სადგურში. შემდეგი პროცესებისთვის შემოთავაზებულია კომპაქტური ქვიშისა და ცხიმის გამწმენდი, ინტეგრირებული წვრილი გისოსებით, 2 პარალელური ხაზით - თითოეული 50% სიმძლავრით. წმინდა ცხაურის სისტემის შემდეგ გასაწმენდი მასა გადადის გაწმენდის ძირითად ეტაპზე - აერაციის ავზებში, სადაც წარიმართება ბიოლოგიური და ქიმიური პროცესები. ბიოლოგიური დამუშავების ამოცანაა ნახშირბადის და საკვები ნივთიერების გამოდევნა ლამის პროცესით. ნუტრიენტების მოცილება (აზოტი და ფოსფორი) განხორციელდება ერთდროულად, დენიტრიფიკაციისა და ქიმიური საშუალებით. ბიოლოგიურად გააქტიურებული ლამის დამუშავება უზრუნველყოფს შემომავალი, წინასწარ დამუშავებული ჩამდინარე წყლისა და გადამუშავებული გააქტიურებული ლამის აერირებას ავზში. საკმარისი აერაციის პერიოდის შემდეგ ლამი გამოიყოფა ჩამდინარე წყლიდან მეორეულ გამწმენდში. გაწმენდილი ჩამდინარე წყლები მიედინება შემდგომი დამუშავებისკენ. გამწმენდში შეგროვებული ლამი დაბრუნდება აერაციის ავზებში, წინასწარ დამუშავებულ ჩამდინარე წყალთან შესარევად. საბოლოო სალექარი ავზების ამოცანაა აერაციის გამოსასვლელიდან გააქტიურებული ლამის გამოყოფა დალექვით. სალექარი ავზი აღჭურვილი იქნება ლამის მილებითა და ძირის საფხეკი - ნარჩენების შემგროვებელი სისტემით, რომლების დანიშნულებაა დალექილი ლამის გადატანა ლამის ძაბრებში. თითოეულ ძაბრს ექნება მილი, რომელსაც ლამი ძაბრიდან გრავიტაციით გადააქვს სატუმბი სადგურისკენ. საბოლოოდ ლამი გადაიტუმბება ლამის გამსქელებელში (გასქელებული ლამის კონცენტრაციამ უნდა მიაღწიოს 20 გ/ლ-ს დაახლოებით 3 დღის განმავლობაში), საიდანაც გასქელებული ლამი გადავა საშრობ მოედნებზე.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, გამწმენდი ნაგებობის წარმადობა განსაზღვრულია ქ. ბაღდათის მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით. საპროექტო არეალის გათვალისწინებით, 2027 წლისთვის ბაღდათის გამწმენდ ნაგებობასთან დაკავშირებული მოსახლეობა იქნება 2 641. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციაში შესვლის ეტაპისთვის (2027 წ) ქ. ბაღდათის მოსახლეობის მოსალოდნელი რაოდენობის შესაბამისად, გამწმენდი ნაგებობა მიიღებს დღე-ღამეში 992 $მ^3$-მდე მოცულობის ჩამდინარე წყლებს. ასევე, გამწმენდი ნაგებობის სამომავლო პერსპექტივის გათვალისწინებით, 2040 წლისთვის ბაღდათის მოსახლეობის პროგნოზული რაოდენობის მიხედვით, გამწმენდი ნაგებობა მიიღებს დღე-ღამეში 1979 $მ^3$-მდე ჩამდინარე წყლებს. დამატებით წარმოდგენილი

დოკუმენტაციის თანახმად, 2027 წლიდან პროექტის ოპერირების გათვალისწინებით 5 წლის ვადაში და 2040 წლის პერიოდის გათვალისწინებით, ბაღდათის მოსახლეობის ზრდით გამოწვეული ჩაშვების მოცულობების ზრდა არ არის მოსალოდნელი. სხვა დასახლებების დაერთებების პერიოდად ამ ეტაპისთვის განსაზღვრულია 2040 წელი. შესაბამისად, არსებული ზდჩ-ს პროექტში მოცემულია 2027 წლისთვის განსაზღვრული მონაცემები და წარმოდგენილია 2027 წლის მაქსიმალური დატვირთვის მოცულობით (მოსახლეობის ექვივალენტი 2 641).

საკანალიზაციო ქსელის და გამწმენდი ნაგებობის პროექტირების პროცესში ჩატარდა ჰიდრავლიკური მოდელირება, რის მიხედვითაც განისაზღვრა საკანალიზაციო ქსელის და გამწმენდი ნაგებობების საჭირო მაქსიმალური პარამეტრები, შესაბამისი მარაგების გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც, ჩამდინარე წყლის ხარჯი შეადგენს 122,4 $მ^3$/სთ, 693 792 $მ^3$/წელ.

ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებული დამაბინძურებელი ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტში წარმოდგენილია მდ. ხანისწყლის წყლის ლაბორატორიული ანალიზის შედეგები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ჟბმ-ის ფონური კონცენტრაცია შეადგენს 4,77 მგ/ლ, ჟქმ-ის ფონური კონცენტრაცია - 11,9 მგ/ლ, ამონიუმის აზოტის ფონური კონცენტრაცია - 0,39 მგ/ლ, ნიტრიტების (NO2) ფონური კონცენტრაცია - 0,05 მგ/ლ, ნიტრატების (NO3) ფონური კონცენტრაცია - 0,12 მგ/ლ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოები გაგრძელდება 1-1,5 წლის განმავლობაში (წელიწადში დაახლოებით 280 სამუშაო დღე), დასაქმებულთა საერთო რაოდენობა იქნება დაახლოებით 60 ადამიანი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, პროექტით გათვალისწინებული არ არის სამშენებლო ბანაკის, მათ შორის, ემისიების გამომწვევი სტაციონალური ობიექტების მოწყობა. საპროექტო ტერიტორიაზე მოეწყობა მხოლოდ სამშენებლო მოედანი. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, დროებითი სამშენებლო ინფრასტრუქტურა განლაგდება გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისთვის შერჩეული მიწის ნაკვეთის ჩრდილოეთით. კერძოდ, გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიაზე მოეწყობა საოფისე ტიპის კონტეინერი, მცირე ზომის სათავსო (მათ შორის, სახიფათო ნარჩენების დროებითი დასაწყობებისთვის), მექანიკური დამუშავების უბანი, მოედანი სატრანსპორტო საშუალებების და ტექნიკის განთავსებისთვის, წყლის რეზერვუარი და საასენიზაციო ორმო.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ნაგებობების პარამეტრებიდან გამომდინარე, მიწის სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი გრუნტის მიახლოებითი მოცულობა იქნება 200-250 $მ^3$. ამოღებული გრუნტი დროებით დასაწყობდება საპროექტო ტერიტორიაზე, დაახლოებით 1,5-2,0 მ სიმაღლის გროვებად. გრუნტის უმეტესი ნაწილი (დაახლოებით 80-85%) გამოყენებული იქნება პროექტის მიზნებისთვის (ტერიტორიის ნიველირება, უკუყრილები და სხვ.), ხოლო დარჩენილი, დაახლოებით 15-20 % გატანილი იქნება რეგიონში არსებულ სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელზე, შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე. საკანალიზაციო ქსელის მოწყობის პროცესში ამოღებული გრუნტის რაოდენობა იქნება დაახლოებით 82,000 $მ^3$. ამოღებული გრუნტი დროებით განთავსდება თხრილების გასწვრივ. გრუნტის 90-95% გამოყენებული იქნება უკუყრილების სახით. დარჩენილი გრუნტი ასევე გატანილი იქნება რეგიონში არსებულ სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია დაახლოებით 16 500 $მ^2$ ფართობზე ნიადაგის მოხსნა, საშუალო სიმძლავრით - 20 სმ (მოცულობა 2500-3500 $მ^3$-მდე). ნიადაგის ნაყოფიერი ფენა დასაწყობდება გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიის საზღვრებში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგება გათვალისწინებულია ახლომდებარე წყალმომარაგების ქსელიდან. სამშენებლო მოედანზე მოეწყობა სამარაგო რეზერვუარი, რომელიც პერიოდულად შეივსება ავტოცისტერნით. სასმელად ასევე შესაძლებელია გამოყენებული იქნას

ბუტილირებული წყალი. მომსახურე პერსონალის რაოდენობიდან გამომდინარე, წყალმოხმარება იქნება მცირე და არ გადააჭარბებს 560 $მ^3$/წელ. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგილი ექნება სამეურნეო-ფეკალური წყლების წარმოქმნას. სამშენებლო მოედანზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყლები შეგროვდება მცირე მოცულობის საასენიზაციო რეზერვუარში. ტექნიკური წყლის გამოყენება მოხდება მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში - მშრალი და ქარიანი ამინდის პირობებში მტვრის გამოყოფის თავიდან ასაცილებლად (50 $მ^3$/წელ). სამუშაო ადგილების დანამვისთვის გამოყენებული იქნება სპეც-ავტომობილი, რომელიც რეზერვუარს შეავსებს ახლომდებარე დასახლებული პუნქტების წყალმომარაგების ქსელიდან. ექსპლუატაციის ეტაპზე გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიაზე წყლის გამოყენება მოხდება სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით (88 $მ^3$/წელ), წყალმომარაგება გათვალისწინებულია ახლომდებარე წყალმომარაგების ქსელიდან. ანგარიშის თანახმად, ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყლების მიახლოებითი რაოდენობა იქნება 80 $მ^3$/წელ. საპროექტო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყლები დაერთებული იქნება გამწმენდ ნაგებობასთან. ანგარიშის მიხედვით, გზებიდან, შენობების სახურავებიდან და სხვა წყალგაუმტარი ტერიტორიებიდან წვიმის წყალი შეგროვდება მილსადენებით, სანიაღვრე წყლების სანიაღვრე ქსელში, რომელიც დაკავშირებულია საერთო შემოვლით გზაზე. გზები აღჭურვილი იქნება ღორღით და ქვის დამჭერით.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საპროექტო რეგიონის ფონური მდგომარეობის და გარემო პირობების აღწერა. გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავებში მოცემულია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე. ამასთან, მოსალოდნელი ზემოქმედების შერბილების და პრევენციის მიზნით განსაზღვრულია შესაბამისი ღონისძიებები და გარემოსდაცვითი მონიტორინგის საკითხები.

დოკუმენტაციაში ასახულია ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ფუნქციონირებით გამოწვეული ზემოქმედების ფაქტობრივი მაჩვენებლები ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. გამწმენდი ნაგებობის ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი სახის მავნე ნივთიერებები: აზოტის დიოქსიდი, ამიაკი, აზოტის ოქსიდი, გოგირდწყალბადი, მეთანი, ფენოლი, ფორმალდეჰიდი და ეთილმერკაპტანი. წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პროცესში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი მაჩვენებლები არ აჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზღვრულ მნიშვნელობებს ობიექტებიდან დადგენილ საკონტროლო წერტილებში (მაქსიმალური კონცენტრაცია გოგირდწყალბადის, ზდკ-ს წილი შეადგენს 0,31მგ/$მ^3$).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია უსიამოვნო სუნის გავრცელება. სუნის გავრცელების მთავარი წყარო იქნება სალამე მოედნები, სადაც წარიმართება ლამის გამოშრობა. ასევე, სუნის გავრცელება მოსალოდნელია სხვა სტრუქტურული ობიექტებიდან, როგორიც არის აერაციის ავზები, სკრინინგის სისტემა და სხვა. სუნის კონტროლის მიზნით ზოგიერთი სტრუქტურული ობიექტისთვის გამოყენებული იქნება ბიო-ფილტრები. რაც შეეხება საკანალიზაციო ქსელის საპროექტო არეალში უსიამოვნო სუნის გავრცელების რისკებს, საპროექტო საკანალიზაციო ქსელი იქნება დახურული ტიპის, შესაბამისად, უსიამოვნო სუნის გავრცელებას ადგილი არ ექნება. ანგარიშის მიხედვით, უსიამოვნო სუნის გავრცელების რისკების პრევენციისთვის გატარდება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, კერძოდ: მშენებლობის ეტაპზე გათვალისწინებული იქნება გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიის პერიმეტრზე მცენარეების დარგვა-გახარება, არასასიამოვნო სუნის გავრცელების პრევენციის მიზნით დამყარდება სისტემატური კონტროლი

ნაგებობის გამართულ მუშაობაზე, ჩამდინარე წყლების მიმღები კამერები რეგულარულად გაიწმინდება ლამისგან, ბიოფილტრები რეგულარულად გასუფთავდება და მოხდება მათი პერიოდული ტექ-მომსახურება და სხვა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მშენებლობის ეტაპზე ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება უკავშირდება მიწის და სამშენებლო სამუშაოებს, ასევე სატრანსპორტო ოპერაციებს. ხმაურის ძირითად წყაროებად ჩაითვალა გამწმენდი ნაგებობის სამშენებლო მოედანზე მოქმედი ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებები. წარმოდგენილი ხმაურის გაანგარიშების მიხედვით, სამშენებლო მოედნის საზღვრებში ხმაურის ჯამური დონე იქნება 93,5 დბა, ხოლო დასავლეთით მდებარე სახლის გათვალისწინებით (130 მეტრი) ხმაურის დონე შეადგენს 55-დბას. ანგარიშის მიხედვით, ექსპლუატაციის ეტაპზე, სატუმბი სადგურების ფუნქციონირების შედეგად საცხოვრებელ სახლთან ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება მნიშვნელოვანი არ იქნება. გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ გამოყენებული იქნება წყალქვეშა ჩამდინარე ტუმბოები, რომლებიც განთავსდება დახურულ სათავსში. შესაბამისად, სატუმბ სადგურებთან ხმაურის მაქსიმალური დონეები 40-45 დბა-ს არ გადააჭარბებს. დაშორების მანძილების, რელიეფის და სხვადასხვა ხელოვნური ნაგებობების არსებობის გათვალისწინებით, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან (130 მ) ხმაურის დონეები მინიმუმ 10-15 დბა-ით ნაკლები იქნება. გზშ-ის ანგარიშში მოცემულია მშენებლობის და ექსპლუატაციის პერიოდში გასატარებელი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია, რაც მაგალითად, გულისხმობს მანქანა-დანადგარების კონტროლს, სატრანსპორტო ოპერაციების დღის საათებში განხორციელებას და სხვა.

ანგარიშის მიხედვით, ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევებით დადგინდა, რომ გამწმენდი ნაგებობის ტერიტორია მდგრადია და ვარგისია მსგავსი ტიპის სამშენებლო სამუშაოების ჩასატარებლად. სამშენებლო მონაკვეთზე რაიმე სახის აქტიური, საინჟინრო გეოლოგიური მოვლენა ან პროცესი, რომელიც ხელს შეუშლის საქმიანობას, მოსალოდნელი არ არის. საკანალიზაციო ქსელი მოეწყობა დასახლებული პუნქტის ფარგლებში, სადაც ასევე არ შეიმჩნევა განსაკუთრებულად საშიში გეოდინამიკური პროცესები. ექსპლუატაციის ეტაპზე საქმიანობა არ ითვალისწინებს რაიმე ტიპის აქტივობებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ არსებულ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, გზშ-ის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ.

დამატებით დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ინფორმაცია ჰიდროლოგიური პირობების და რისკების, ასევე, მდინარე ხანისწყლის წყლის მაქსიმალური ხარჯების შესახებ. დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ვინაიდან გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა იგეგმება ჰიდროლოგიურად სენსიტიურ მონაკვეთში, ჩატარდა მდ. ხანისწყლის დეტალური ჰიდროლოგიური კვლევა და პარამეტრის განსაზღვრა. შესაბამისად, წარმოდგენილი ინფორმაციით გათვალისწინებულია ნაპირსამაგრი ნაგებობის დეტალური პროექტის მომზადება.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი და შეფასებულია ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე ზემოქმედება და შესაბამისი შემარბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიებები. საპროექტო არეალში წარმოდგენილი ჰაბიტატი მცენარეული საფარის სახეობრივი შემადგენლობის, ხე-მცენარეების სიხშირისა და ანთროპოგენური დატვირთვის ხარისხის მიხედვით, ძირითადად ერთგვაროვანია და მკვეთრი გრადაცია არ აღინიშნება, გარდა საპროექტო დერეფნის ბოლო მონაკვეთისა, სადაც ტერიტორია წარმოდგენილია ნოტიო ოლიგოტროფული ბალახოვანი ცენოზებით. საპროექტო დერეფანში ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ საკვლევ ტერიტორიაზე ძირითადად გავრცელებული მცენარეთა სახეობებია: *ქართული მუხა (Quercus iberica), ძელქვა (Zelkova Carpinifolia), წიფელი (Fagus orientalis) და სხვა.* საპროექტო დერეფანში ჩატარებული კვლევით ასევე დადგინდა, რომ საკვლევი არეალი არ გამოირჩევა ძუძუმწოვრების მრავალფეროვნებით. ამასთან, საპროექტო დერეფნის მონაკვეთები

მდებარეობს საავტომობილო გზის სიახლოვეს, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო ზრდის აღნიშნულ ტერიტორიაზე ანთროპოგენულ ზემოქმედებას. საკვლევ ტერიტორიაზე გავრცელებული ძუძუმწოვრებია: *დათვი (Ursus arctos), მგელი (Canis lupus) ტურა (Canis aureu), მელა (Vulpes vulpes)* და სხვა. საპროექტო არეალში ქვეწარმავლების 10-მდე სახეობა გვხვდება, კერძოდ: *წყლის ანკარა (Natrix tessellata), ჩვეულებრივი ანკარა (Natrix natrix), წენგოსფერი მცურავი (Coluber najadum), ბოხმეჭა (Anguis colchica)* და სხვა. ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებულია ამფიბიების შემდეგი სახეობები: *აღმოსავლური სავარცხლიანი ტრიტონი (Triturus karelinii), მწვანე გომბეშო (Bufo viridis), კავკასიური გომბეშო (Bufo verrucosis sinus), ტბორის ბაყაყი (Pelophylax ridibundus)* და სხვა. ანგარიშის მიხედვით, საკვლევ ტერიტორიაზე 19 სახეობის ფრინველი დაფიქსირდა, რომელთაგანაც ყველა მათგანი საქართველოს მობინადრე სახეობებს წარმოდგენს. ამასთან, მდ. ხანისწყალზე ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ საპროექტო არეალის მიმდებარედ, მდინარე ხანისწყალში მობინადრე იქთიოფაუნის სახეობრივი შემადგენლობა და რაოდენობა მცირეა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, გამწმენდი ნაგებობის საპროექტო ტერიტორიიდან ჩრდილოეთით, 150 მეტრის დაშორებით მდებარეობს აჯამეთის აღკვეთილის და ზურმუხტის ქსელის უბანი - „აჯამეთი“ (კოდი: GE0000018) საზღვარი.

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ცნობით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ მილსადენი კვეთს აჯამეთის აღკვეთილის საზღვარს, რასთან დაკავშირებითაც სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ 2025 წლის 2 ოქტომბერს გაცემულია GOV №-205 ბრძანება (აჯამეთის აღკვეთილის ტერიტორიაზე მდებარე 2520 კვ.მ მიწის ფართობზე განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მინიჭების თაობაზე). ამასთან, ინფორმაცია დაცულ ტერიტორიებზე განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალურ სარგებლობასთან დაკავშირებით წარმოდგენილია გზშ-ის დოკუმენტში და დანართებში. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო კომპეტენციის ფარგლებში არ არის წინააღმდეგი, განხორციელდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციით გათვალისწინებული პროექტი. პროექტის განხორციელებისას, როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის პროცესში, გათვალისწინებული უნდა იყოს აჯამეთის აღკვეთილის საზღვრები, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა ბიომრავალფეროვნებაზე. ასევე, გათვალისწინებული უნდა იყოს გარემოზე მოსალოდნელი ზეგავლენის შერბილების ღონისძიებები, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი გეგმის მიხედვით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროექტის განხორციელებისას, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია როგორც სახიფათო, ისე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, უზრუნველყოფილი იქნება ნარჩენების სეპარირებული შეგროვება სახეობის და სახიფათოობის მიხედვით. მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელია მცირე რაოდენობით საყოფაცხოვრებო (დაახლოებით 30 $მ^3$/წელ) და სახიფათო ნარჩენების (დაახლოებით 1-2 $მ^3$/წელ) წარმოქმნა. სახიფათო ნარჩენებიდან შეიძლება წარმოიქმნას: ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჩვრები და სხვა საწმენდი საშუალებები, საღებავების ნარჩენები და საღებავების ტარა, ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრის შემთხვევაში წარმოქმნილი ნავთობის ნახშირწყალბადებით დაბინძურებული ნიადაგი და გრუნტი და სხვა. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ამ ეტაპზე შესრულებული აუდიტის შედეგების მიხედვით, გამწმენდი ნაგებობის სამშენებლო ტერიტორიაზე აზბესტშემცველი მასალები არ ფიქსირდება. თუმცა მშენებლობის პროცესში გამორიცხული არ არის გამოვლინდეს ასეთი ტიპის ნარჩენები, აზბესტშემცველი გადახურვის ან მილების სახით. აზბესტშემცველი მასალების აღმოჩენის და კონტროლის ღონისძიებებს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა და გამოვლენის შემთხვევაში აზბესტშემცველი ნარჩენების შეგროვების, გატანის და საბოლოო განთავსების პროცედურები განხორციელდება საერთაშორისოდ მიღებული მეთოდების გამოყენებით და საქართველოს მთავრობის

29/03/2016 წ. №145 დადგენილებით დამტკიცებული „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მიხედვით. წარმოდგენილი დოკუმეტნაციის თანახმად, გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ეტაპზე ნარჩენებიდან წარმოიქმნება ჩამდინარე წყლების მიმღებ კამერაში პირველად და მეორად გისოსებზე დაგროვილი მყარი მასალა, ასევე, ლამი. ლამი ასევე წარმოიქმნება პერიოდულად, საკანალიზაციო ქსელის ჭების გასუფთავების პროცესში. სულ, ჯამში, წარმოქმნილი სტაბილიზირებული ლამის ჯამური მოცულობა იქნება დაახლოებით 70 ტ/წელ. ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი მცირე რაოდენობით საყოფაცხოვრებო ნარჩენები (დაახლოებით 2-3 $მ^3$ წელ) გატანილი იქნება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე. ანგარიშის მიხედვით, ნარჩენი ლამის ტერიტორიაზე განთავსება/დასაწყობება განხორციელდება 3 წლამდე ვადით, ხოლო დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ნარჩენი ლამის საბოლოო მართვის მიზნით მოხდება მისი ინსინერაცია, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, გამწმენდი ნაგებობის და საკანალიზაციო ქსელის მშენებლობის ეტაპზე ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება დაკავშირებული იქნება სატრანსპორტო ნაკადების ზრდასთან, სამშენებლო მოედნებზე მომუშავე ტექნიკასთან, მშენებარე კონსტრუქციებთან, სამშენებლო მასალებთან და ნარჩენებთან. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანისთვის გატარდება პრევენციული ღონისძიებები, რაც ძირითადად სამშენებლო მასალების და ნარჩენების ეფექტურ მართვას გულისხმობს. გზშ-ის ანგარიშის შესაბამისად, ექსპლუატაციის ეტაპზე დაგეგმილია გამწმენდი ნაგებობის პერიმეტრის ხელოვნური ნარგავებით გამწვანება, რაც შეარბილებს ახალი ნაგებობების მოწყობის შედეგად არსებულ ვიზუალურ-ლანდშაფტურ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების რისკებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ინტენსიური სამუშაოების წარმოების პროცესში გაიზრდება დატვირთვა საზოგადოებრივ გზებზე, რაც უკავშირდება სამშენებლო ნარჩენების, სამშენებლო მასალების და მუშახელის ტრანსპორტირებას. ინტენსიური სამუშაოების დროს მოსალოდნელია დღეში 50 სატრანსპორტო ოპერაციის განხორციელება, რაც სატრანსპორტო ნაკადებზე მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება. გარდა ამისა, უზრუნველყოფილი იქნება სათანადო შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის, საგზაო გამაფრთხილებელი ნიშნების, ბარიერების გამოყენება. ექსპლუატაციის ეტაპზე სატრანსპორტო გადაადგილება იქნება გაცილებით ნაკლები ინტენსივობის.

გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებულია ზედაპირული და გრუნტის წყლების დაბინძურების რისკები გამწმენდი ნაგებობის როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე. როგორც აღინიშნა, არ არის გათვალისწინებული სამშენებლო მასალების ადგილზე წარმოება და შესაბამისად, ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლების ჩაშვება. მიწის სამუშაოების დროს, შენობა-ნაგებობების ფუნდამენტების ქვაბულების მომზადებისას გრუნტის წყლების შემოდინების და მათი დაბინძურების რისკების თავიდან აცილების მიზნით დაგეგმილია ტერიტორიაზე დამაბინძურებელი ნივთიერებების მცირე მარაგის განთავსება და სამუშაოების მოკლე დროში განხორციელება. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია აგრეთვე წყლის გარემოზე ზემოქმედების შერბილების ღონისძიებები როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე, კერძოდ: მანქანა/დანადგარები და პოტენციურად დამაბინძურებელი მასალები განთავსდება ზედაპირული წყლის ობიექტებიდან და შენობა-ნაგებობების მოწყობისთვის ამოღებული ქვაბულებიდან დაშორებით, ატმოსფერული ნალექებისგან დაცულ ადგილზე. მოხდება ტექნიკურად გამართული სამშენებლო ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება და სხვა.

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით, წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის განთავსების ტერიტორია (ს.კ. N30.03.37.067) არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების ინდივიდუალურ

დამცავ ზონაში. რაც შეეხება საკანალიზაციო ქსელს, რომლის მოწყობა დაგეგმილია დასახლებულ პუნქტებში, ძირითადად გზების გასწვრივ და საკარმიდამო ნაკვეთებში და გულისხმობს მიწაში საკანალიზაციო ქსელის მონტაჟს (2 მ-ის სიღრმით, 1 მ სიგანის თხრილში), ის გარკვეულ ზონებში კვეთს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების დამცავ ზონებს. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასევე აღნიშნულია, რომ დაგეგმილი სამუშაოები გავლენას ვერ მოახდენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობაზე. თუმცა, ვინაიდან საპროექტო არეალში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები ისტორიული ნაგებობებია და არსებობს მათ სიახლოვეს არქეოლოგიური ფენების აღმოჩენის ალბათობა, სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ მიწის სამუშაოები წარიმართოს არქეოლოგის ზედამხედველობით, შემდეგი ძეგლების ფიზიკური დაცვის არეალებში (ძეგლიდან 50 მ-ის რადიუსში): 1. სოფ. დიმის მთავარანგელოზის ეკლესიასთან, 2. სოფ. დიმის კვეტენაძეების ეზოში მდებარე კოშკთან, 3. სოფ. პირველი ფერსათის „სალხინო“-ს ეკლესიასთან, 4. სოფ. პირველი ფერსათის ქვედა სასაფლაოს ეკლესიასთან, ანგარიშის სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენის ვალდებულებით.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, პროექტის Shp ფაილების არეალი ნაწილობრივ კვეთს მანგანუმის ყვირილის დეპრესიის (უბანი როკითი) საბადოს კონტურს. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემა იმ პირობით, რომ საბადოზე ლიცენზიის გაცემის შემთხვევაში არ შეიზღუდება წიაღისეულით სარგებლობა. დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტაციას დანართის სახით თან ახლავს საპროექტო გამწმენდი ნაგებობის მიწის ნაკვეთზე (ს/კ 30.03.37.067) სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს პოზიცია, რომლის მიხედვითაც, აღნიშნულ სააგენტოში არსებული ინფორმაციით არ ფიქსირდება სასარგებლო წიაღისეულის საბადო და არც სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით გაცემული ლიცენზია.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, კუმულაციური ზემოქმედების შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ გამწმენდ ნაგებობასთან და საკანალიზაციო ქსელთან ერთად გათვალისწინებულია აღნიშნული დასახლების წყალმომარაგების ქსელის მშენებლობა-რეაბილიტაცია. წყალმომარაგება-წყალარინების პროექტების განხორციელების პროცესში მოსალოდნელია სატრანსპორტო ოპერაციების გაზრდა, სხვადასხვა ტიპის სადემონტაჟო თუ სამშენებლო სამუშაოები (მათ შორის, მიწის სამუშაოები) და სხვა. თუმცა, ვინაიდან ჩასატარებელი სამუშაოები მასშტაბური ხასიათის არ იქნება, უმეტეს შემთხვევაში კონკრეტული სხვადასხვა სახის კუმულაციური ეფექტი იქნება დაბალი მნიშვნელობის.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. ინფორმაცია ასევე გაიგზავნა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიაში და გამოქვეყნდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. გარდა ამისა, საჯარო განხილვების ჩატარების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა გაზეთში, სააგენტოს ვებგვერდსა და ფეისბუქ გვერდზე.

გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვები გაიმართა 2025 წლის 11 დეკემბერს, ბაღდათის მუნიციპალტეტის მერიის შენობასა და სოფ. ვარციხის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, ბაღდათის მუნიციპალიტეტის, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“, საკონსულტაციო კომპანია - შპს „პოლიტიკის და მართვის

კონსალტინგ ჯგუფის“, საპროექტო კომპანია - ,,Fichtner GmbH”-ის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა.

საჯარო განხილვებზე ყურადღება ძირითადად გამახვილდა უსიამოვნო სუნის, გამწმენდი ნაგებობიდან უახლოესი მოსახლის, ჩამდინარე წყლების მართვისა და გაწმენდის, ასევე, საკანალიზაციო ქსელის და გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისთვის განსაზღვრული ვადის საკითხებზე. ამასთან, ყურადღება გამახვილდა გამწმენდი ნაგებობის ფუნქციონირების შედეგად გამოწვეული რისკების, გამწმენდი ნაგებობის ალტერნატიული ტერიტორიების, გამწმენდი ნაგებობის მიმდებარედ არსებული სოფლების საკანალიზაციო ქსელზე დაერთების, ექსპლუატაციის ეტაპზე არსებული შემარბილებელი ღონისძიებების და ლამის მართვის საკითხებზე, რაზეც შესაბამისი განმარტებები გააკეთეს შპს „პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფისა“ და შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ წარმომადგენლებმა. საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები ასახულია გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის ოქმებში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილ პროექტთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

გზშ-ის ანგარიში გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა, რომელთა დასკვნების შეჯერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების შედეგად, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-12 მუხლისა და ამავე კოდექსის II დანართის 9.6 ქვეპუნქტისა და ამავე დანართის 10.6 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ქ. ბაღდათში, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის” საკანალიზაციო სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე.
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით.
3. **შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ ვალდებულია:**

   ა) საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის, ასევე დაზუსტებული დოკუმენტაციის, წარმოდგენილი სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, მათ შორის, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შერბილების და თავიდან აცილების ქმედებების, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირებისა და გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმების, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა დამატებით წარმოდგენილი მონიტორინგის გეგმის და კანონმდებლობით („დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 31/12/2013 წ. №413 დადგენილება) დადგენილი მოთხოვნების დაცვით, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად, ასევე ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით;

   ბ) უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევების ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის

წყაროების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;

გ) გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული „ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების“ დაცვა, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ჩამდინარე წყლების ხარისხის მონიტორინგი გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის შესაბამისად;

დ) საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;

ე) ნარჩენების მართვა უზრუნველყოს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად;

ვ) საქმიანობის განხორციელებისას უზრუნველყოს აჯამეთის აღკვეთილის საზღვრების გათვალისწინება და მინიმუმამდე იქნას დაყვანილი უარყოფითი ზემოქმედება დაცულ ტერიტორიზე;

ზ) მშენებლობის ეტაპზე უზრუნველყოს მიწის სამუშაოების წარმართვა არქეოლოგის ზედამხედველობით და შესაბამისი ანგარიშის სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმება;

თ) მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს საპროექტო ტერიტორიის ბიოლოგიური გარემოს წინასამშენებლო კვლევის სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც კვლევის ფარგლებში ყურადღება გამახვილდება უშუალოდ პროექტის გავლენის ზონაში არსებულ ცხოველებზე (განსაკუთრებით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს "წითელ ნუსხით" დაცულ სახეობებზე) და ჰაბიტატებზე, მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და საჭიროების შემთხვევაში - საკომპენსაციო ღონისძიებებზე. მიღებული შედეგების მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში განისაზღვროს დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებები. ამასთან, აღნიშნული კვლევის შედეგების საფუძველზე განახლდეს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმა, დაზუსტდეს ბიოლოგიური გარემოს მონიტორინგის წარმოების სიხშირე და შესათანხმებლად იქნეს წარმოდგენილი სააგენტოში;

ი) უზრუნველყოს ტექნიკურ დანადგარებსა და სახანძრო უსაფრთხოებაზე მუდმივი მონიტორინგის განხორციელება;

კ) მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ნაპირსამაგრი ნაგებობის პროექტის სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა;

ლ) უზრუნველყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება;

მ) საკანალიზაციო სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ აცნობოს სააგენტოს;

ნ) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" დადგენილი წესით.

4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას";

5. ბრძანება ძალაში შევიდეს „შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

6. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/302-21-4-202605061830

ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული ბეჭდის • QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE •